წინამდებარე მასალა დაეხმარება ბუნებისმეტყველების მასწავლებელს დაწყებით საფეხურზე, სამიზნე ცნების - „ორგანიზმი, საარსებო გარემო“ - დამუშავების დროს გაამრავალფეროვნოს საგაკვეთილო პროცესი

როგორ „საუბრობენ“ ცხოველები?

ენათმეცნიერები ფიქრობენ, რომ დედამიწაზე ადამიანები 2000-ზე მეტ ენაზე საუბრობენ; ზოოლოგების მოსაზრებით კი, ცხოველებს „სასაუბრო“ ენა გაცილებით მეტი აქვთ. ცხოველების „სასაუბრო“ ენა იმდენივეა, რამდენი ცხოველის სახეობაც არსებობს დედამიწაზე. ჩვენ ვიცით, რომ ყველა ჩიტს თავისი „სიმღერა“ (გალობა) აქვს, მაგრამ არიან ფრინველები, რომლებიც არ გალობენ, უფრო მეტიც, მათ ხმა საერთოდ არ აქვთ, მაგრამ მაინც ახერხებენ ერთმანეთთან „საუბარს“. მაგალითად: წერო ლამაზია, მაგრამ ხმა თითქმის არ აქვს; აბა რა ქნას, ხომ ჭირდება, რომ ნორმალურად მიესალმოს პარტნიორს, როცა ის ბუდესთან მოფრინდება ან ბოლოს და ბოლოს დააფრთხოს დაუპატიჟებელი სტუმარი, რომელიც ახლოს აღმოჩნდება მის ბუდესთან? ამიტომ, წერო ნისკარტს აწკაპუნებს და თანაც სხვადასხვანაირად: ხან ხმამაღლა, ხან ჩუმად, ხან სწრაფად და ხშირად, ხან კი იშვიათად.

ზოგიერთი ფრინველი თანამოძმეებთან საურთიერთოდ იყენებს სხვადასხვა საშუალებას და ინსტრუმენტს, მაგალითად, კოდალა ამოირჩევეს გამხმარ ტოტს და იწყებს მასზე ხშირ ძლიერ კაკუნს; ამას არ აკეთებს მატლის ამოსაყვანად, ამით თანამოძმეებს ამცნობს თავის შესახებ. სხვადასხვა სახეობის კოდალები განსხვავებულად აკაკუნებენ, თითქოს თავს იცავენ არასასურველი მიყურადებისგან.

ზოგიერთ ფრინველს ფრთებზე აქვს სპეციალური ნაჭდევები, რომლებიც ფრენის დროს სპეციფიკურ, სტვენის ხმებს გამოსცემს. ეს ერთგვარი ამოსაცნობი ნიშანია თანამოძმეებისათვის - „ჩვენ მოვფრინავთ“.

ჩიბუხა (ბეკასი) ყურადრებას იქცევს მისი შეფერილობით. როცა ის მაღლიდან ეშვება დაახლოებით 9-10 მეტრი/წამში სიჩქარით, კუდის განსაკუთრებული ბუმბულები კანკალს იწყებს და ხმამაღალ მჭახე ხმებს გამოსცემს.

სხვათა შორის, კაკუნი ფართოდ გავრცელებული სასიგნალო სისტემაა ცხოველთა სამყაროში. ზოგიერთი ხოჭო, რომელიც მერქანშია, შესასვლელზე თავის მირტყმით ამცნობს გარშემო მყოფებს თავისი არსებობის შესახებ. ეს მაინცდამაინც სასიხარულო არ უნდა იყოს, მაგარამ სხვა გაზა არაა თუ გინდა, რომ შენს შესახებ გაიგონ.

ადამიანებისთვის დიდი ხნის განმავლობაში გამოცანად რჩებოდა, როგორ გადასცემდნენ ტერმიტები საფრთხის შესახებ განგაშის სიგნალს შორ მანძილზე. აღმოჩნდა, რომ დარაჯი ტერმიტები, შეამჩნევენ თუ არა საფრთხეს, იწყებენ ბუდის შესასვლეზე თავის მირტყმას, დანარჩენები იგებენ ამ ხმას და საბრძოლველად ემზადებიან. მეცნიერებმა ეს ვარაუდი ასე დაამტკიცეს: ბუდის შესასვლელი

ამოფინეს ხმის დამცავი მასალით და როცა დარაჯმა ტერმიტმა განგაში ატეხეს, დანარჩენებმა სიგნალი ვერ გაიგეს და მტერმა დაუბრკოლებლად შეაღწია ბუდეში.

საინტერესოა მამრი და მდედრი ობობების ურთიერთობის მანერაც. მდედრი ძალიან ავია და ცოტა მხედველობადაქვეითებული. ის თავს ესხმის ყველაფერს, რაც მოძრაობს და შეესაბამება მის ზომას. მაშინაც კი, თუ აღმოაჩინა, რომ თავს თანამოძმეს დაესხა, არ ჩერდება და მშვენივრად შეახრამუნებს მას. მამრი ობობა მდედრთან მიახლოებამდე შორიდან იწყებს სიგნალების გამოცემას თითქოს აფრთხილებს - „მე ვარ“, მაგრამ არაა დარწმუნებული, რომ გადარჩება. საკმარისია მდედრმა გააკეთოს ოდნავი მოძრაობა, რომ მამრი სწრაფად უკან გადახტება და ყველაფერი თავიდან იწყება.

უფრო ადვილადაა საქმე მქსელავ ობობებთან. მამრი აბამს თავის ქსელს მდედრის ქსელთან ახლოს, იწყებს ამ ქსელის რხევას და გარკვეული სიგნალების გაშვებას: პირველად - „ეს მე ვარ“; შემდეგ კი - „შეიძლება თქვენთან სტუმრად მოსვლა?“

ნიანგებიც „საუბრობენ“ ერთმანეთთან. პატარა ნიანგები, რომლებიც ჯერ კიდევ არ გამოჩეკილან, იწყებენ საუბარს და ეძახიან დედას. დედამ უნდა ამოთხაროს ქვიშა და დაეხმაროს პატარებს გარეთ გამოღწევაში.

ასევე საუბრობენ ერთმანეთთან სპოლოებიც. საკუთარ გრძნობებს ისინი ხმებით გამოხატავენ. მაგალითად: სიამოვნებას - სუსტი ფრუტუნით; შიშს - ძლიერი ღრიალით; თავდასხმას - გამჭოლი საყვირისებური ხმით.

სპილო ჟესტებითაც საუბრობს; ამაში მას ყურები და ხორთუმი ეხმარება. მაგალითად: თუ სპილოს ხორთუმი დაშვებული აქვს, ნიშნავს, რომ ის მშვიდადაა, მაგრამ თუ რაღაცაზე შეშფოთდა - ხორთუმი და ყურები აწეულია. გაბრაზებას მისი განზე გაწეული ყურები და აწეული ხორთუმის მოხრილი წვერო მიანიშნებს. საერთოდ, სპილოს „ხორთუმისა და ყურების ენა“ ძალიან შთამბეჭდავია. როცა სპილო ხორთუმის წვერს მიწაზე ურტყამს - ნიშნავს, რომ მტერი ახლოსაა, ხოლო როცა ზემოთ აღმართავს - „წინ შეტევისკენ“! ხორთუმს იყენებენ „მისალმებისთვისაც“.

როგორც ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ჩანს, ცხოველები მრავალი სხვადასხვა ტიპის სიგნალის მეშვეობით ამყარებენ კომუნიკაციას. ზოგადად, ცხოველთა კომუნიკაციის ყველაზე მთავარი ფუნქციაა: მეწყვილის პოვნა, დომინანტობის მოპოვება და ტერიტორიის დაცვა.